



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**სასაკლაოების, ელექტროებისა
და სამაცივრე მეურნეობების
გამოკვლევის ძირითადი შედეგები**

2019



15.06.2020

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


15.06.2020

სასაკლაოების, ელვაბათორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2019 წელი)

სასაკლაოები

2019 წელს საქართველოში 106 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 23.6 პროცენტი - ქვემო ქართლში, 15.1 პროცენტი - კახეთში, 11.3 პროცენტი - შიდა ქართლში, 11.3 პროცენტი - იმერეთში, 11.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 27.4 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2019 წელი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2020

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში 2019 წელს მოქმედ სასაკლაოებში დღის განმავლობაში მაქსიმუმ 54 421 ერთეული პირუტყვისა და ფრინველის დაკვლა იყო შესაძლებელი (ნაკლავის შესაძლო მაქსიმალური დღიური მოცულობა).

2019 წლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 438.6 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 38.0 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 62.0 პროცენტი - წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 11 084.8 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2019 წლის განმავლობაში 40 329.1 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 40.4 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 38.8 პროცენტი - ფრინველის, 16.8 პროცენტი - ღორის, 3.9 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

2019 წლის განმავლობაში დაკლული პირუტყვიდან 2 697.2 ტონა შესყიდული იყო სასაკლაოს მიერ, საიდანაც 59.1 პროცენტი მოდის ღორის ხორცზე, 34.2 პროცენტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო 6.7 პროცენტი - თხისა და ცხვრის ხორცზე.

მომსახურება გაენია 40.3 ათას პირს, საიდანაც 38.6 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 957 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 24.9 ლარი, ცხვრის ან თხის - 11.4 ლარი, ხოლო ღორის - 22.4 ლარი.

სასაკლაოების უმრავლესობა (48.1 პროცენტი) სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 48.1 პროცენტი აღჭურვილია ნაწილობრივ, ხოლო 3.8 პროცენტი არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სასაკლაოების 67.9 პროცენტი არ სარგებლობს სესხით, ხოლო 32.1 პროცენტს აღებული აქვს სესხი სხვადასხვა მიზნით: 61.8 პროცენტს - ძირითადი კაპიტალის შექმნისთვის, 5.9 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 32.4 პროცენტს, როგორც ძირითადი ასევე საბრუნავი კაპიტალისათვის.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2020

სამაცივრე მეურნეობები

2019 წელს საქართველოში 109 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონშია (50.5 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქვემო ქართლის (11.0 პროცენტი), კახეთის (10.1 პროცენტი), ქ. თბილისში (9.2 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (8.3 პროცენტი), იმერეთის (5.5 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (2.8 პროცენტი), გურიის (1.8 პროცენტი) და სამცხე-ჯავახეთის (0.9 პროცენტი) რეგიონში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2019 წელი




2019 წლის განმავლობაში მომსახურება გაენია 516 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 359 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 994 კაცით განისაზღვრა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2020

2019 წლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 232.4 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 61.3 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 18.7 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 9.0 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 6.8 პროცენტი - თევზეული, 2.1 პროცენტი რძის პროდუქტები, ხოლო დანარჩენ პროდუქტებს 2.1 პროცენტი უკავია:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2019 წელი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2019 წლის განმავლობაში შესყიდულია 19.2 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 13.2 მლნ. ლარი შეადგინა.

2019 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 149.0 მლნ. ლარის ღირებულების (35.8 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (44.3 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 88.5 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (59.5 პროცენტი), ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (19.0 პროცენტი) და თევზეული (16.2 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 3.8 პროცენტი უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ქათმის ხორცი, თევზეული და ხილი და ბოსტნეული წარმოადგენდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2020

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 57.9 პროცენტს, თებერვალში - 55.9 პროცენტს, მარტში - 53.3 პროცენტს, აპრილში - 47.0 პროცენტს, მაისში - 53.7 პროცენტს, ივნისში - 52.4 პროცენტს, ივლისში - 50.1 პროცენტს, აგვისტოში - 53.0 პროცენტს, სექტემბერში - 49.8 პროცენტს, ოქტომბერში - 52.9 პროცენტს, ნოემბერში - 53.9 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 54.1 პროცენტს.

სამაცივრე მეურნეობების 50.5 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 45.0 პროცენტი - სრულად, ხოლო 4.6 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 63.3 პროცენტი. აქედან, 29.0 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით), 60.9 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 10.1 პროცენტს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2020

ელევატორები

2019 წელს საქართველოში 29 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (34.5 პროცენტი) და შიდა ქართლის (34.5 პროცენტი) რეგიონებში იყო განთავსებული. ელევატორების 17.2 პროცენტი ფუნქციონირებდა ქ.თბილისში, 10.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და 3.5 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2019 წელი




2019 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 31 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 143 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 957 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 603.9 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 80.9 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, 8.9 პროცენტს სოიოს შროტი, 6.6 პროცენტს სიმინდი, 2.3 პროცენტს ხორბლის ფქვილი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

15.06.2020

ელევატორში შენახული პროდუქციის სტრუქტურა, 2019 წელი



2019 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 290.7 მლნ. ლარის ღირებულების 377.3 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 60.7 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ელევატორების მიერ პროდუქციის გადამუშავებასა და შენახვაზე განეულმა დანახარჯებმა - 2.8 მლნ. ლარი შეადგინა.

2019 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი - 42.5 პროცენტი, ხორბალზე მოდიოდა.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით ჭარბობდა ხორბლის ფქვილი (რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 83.8 პროცენტი) და ქათო (15.0 პროცენტი).

ელევატორების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე რეალიზებული იქნა მხოლოდ სოიოს შროტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 43.8 პროცენტს, თებერვალში - 40.5 პროცენტს, მარტში - 43.3 პროცენტს, აპრილში - 46.6 პროცენტს, მაისში - 44.2 პროცენტს, ივნისში - 39.9 პროცენტს, ივლისში - 38.7 პროცენტს, აგვისტოში - 44.9 პროცენტს, სექტემბერში - 41.3 პროცენტს, ოქტომბერში - 52.7 პროცენტს, ნოემბერში - 51.6 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 53.7 პროცენტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2020

ელევატორების 27.6 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 31.0 პროცენტი - ნაწილობრივ, ხოლო 41.4 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს ელევატორების 51.7 პროცენტი. აქედან 26.7 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებული გაუმჯობესების მიზნით), 66.7 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 6,7 პროცენტს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge